ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი

03 იანვარი 2024 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი:

ერთის მხრივ ა(ა)იპ მელიტონ ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლა წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინა ოგანეზოვას სახით (შემდგომში - სკოლა მის: ქ. ბათუმი ბაქოს ქN48 ს/კ 445405179), მეორეს მხრივ სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი წარმოდგენილი მისი რექტორის თემურ კეჟერაძის სახით - (შემდგომში - უნივერსიტეტი, მის: ზურაბ გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას 19/32, ს/კ245628496) და მესამეს მხრივ სსიპ ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი (მის: ქ.თბილისი დ.აღმაშენებლის ქუჩა N68, ს/კ 203851313), (შემდგომში - ცენტრი) წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის გიორგი დონაძის სახით, წინამდებარე ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის (შემდგომში-მემორანდუმი) ტექსტში ერთად წოდებულნი, როგორც-მხარეები, სახელმწიფო და საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე ვთანხმებით ურთიერთთანამშრომლობის შემდეგ პირობებზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმის მიზანია, მხარეთა ერთობლივი ძალისხმევის პირობებში, ა(ა)იპ მ.ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლის და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ რეგიონში დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში 2001 წელს იუნესკოს მიერ არამატერიალური კულტურის ძეგლად აღიარებული ქართული ხალხური სიმღერის გადარჩენა, შენახვა პოპულარიზაცია და მომავალი თაობებისთვის გადაცემის ხელშეწყობა.

მუხლი 2. მემორანდუმის საგანი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს და სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მხარდაჭერით ქალაქ ბათუმში ა(ა)იპ მელიტონ ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლაში საოლტბარო (მიმართულების) სკოლის

ჩამოყალიბება, სადაც ადგილობრივი ახალგაზრდობა უფასოდ შეისწავლის ქართულ ტრადიციულ გალობას, ადგილობრივ ხალხურ სიმღერას და ტრადიციულ საკრავებს.

2.1. სსიპ ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი

2.1.1. იღებს ვალდებულებას შექმნას სალოტბარო სკოლისთვის გათვალისწინებული სასწავლო მოდული/პროგრამა, განსაზღვროს სასწავლო და საგაკვეთილო პროცესის ხანგრძლივობა და მოცულობა, უზრუნველყოს სასწავლო პროგრამის შესრულებაზე მონიტორინგი და შემოქმედებითი ხელმძღვანელობა.

2.1.2. უზრუნველყოს სალოტბარო სკოლის ჩაბმა სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საერთო შემოქმედებით აქტივობებში.

2.1.3. გასცეს სალოტბარო სკოლის დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტი სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის ხელმოწერით და ბეჭდით დამოწმებული.

2.1.4. უზრუნველყოს სალოტბარო სკოლაში დასაქმებული რეგენტის და ლოტბარის პერიოდული პროფესიული გადამზადება, და სხვადასხვა სახის სარეკომენდაციო საქმიანობა, რაც ხელს შეუწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებას.

2.1.5. სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი წარჩინებულ მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას სწავლა გააგრძელონ გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებელში, სადაც მიიღებენ ბაკალავრის და შემდგომ მაგისტრის ხარისხის განათლებას. სწავლის დასრულების შემდეგ ცენტრი უზრუნველყოფს მათ წახალისებას, რათა გააგრძელონ პროფესიული საქმიანობა.

2.1.6. ფოლკლორის ცენტრი იღებს ვალდებულებას პერიოდულად დარგების მიხედვით მოავლინოს ცენტრში მომუშავე სპეციალისტები მასტერკლასების ჩასატარებლად.

2.1.7. უზრუნველყოს წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისათვის სხვა აუცილებელი უფლებამოსილებების განხორციელება.

3.1. ა(ა)იპ მელიტონ ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლა

3.1.1. სკოლა იღებს ვალდებულებას სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე სალოტბარო სკოლის

განვითარების და ხელშეწყობის მიზნით უზრუნველყოს სკოლის ფინანსური რესურსის გამოყოფა, რომელიც მოხმარდება სალოტბარო სკოლის რეგენტის, ლოტბარის და სოლფეჯიოს პედაგოგის შრომის ანაზრაურების უზრუნველყოფას;

3.1.2. მ. ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლა უფლებამოსილია კონტროლი განახორციელოს მემორანდუმის ფარგლებში სკოლის მიერ გამოყოფილი თანხის მიზნობრივ ხარჯვაზე და საგაკვეთილო პროცესის ჯეროვან შესრულებაზე.

3.1.3. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხელი შეუწყოს ს.ს.ი.პ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს დაგეგმილი შემოქმედებითი პროგრამების განხორციელებაში.

3.1.4. უზრუნველყოფს მემორანდუმის მიზნებისათვის სხვა საჭირო უფლებამოსილებების განხორციელებას.

3.1.5. სკოლა გამოხატავს მზადყოფნას გააგრძელოს ურთიერთთანამშრომლობა წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებულ საკითხებზე ყოველწლიურად.

4. სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

4.1. გამოხატავს მზადყოფნას ქ. ბათუმის სალოტბარო სკოლის გაკვეთილები ჩატარდეს სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებულ შენობაში კვირაში არანაკლებ 2 დღით, 2 სამუშაო საათის ოდენობით.

4.2. იღებს ვალდებულებას სალოტბარო სკოლისთვის გამოყოფილი ოთახი იყოს აღჭურვილი სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ინვენტარით.

4.3. სასწავლო გაკვეთილების ჩატარების დღე და ხანგრძლივობა წინამდებარე მემორანდუმის მონაწილე მხარეების მიერ თანხმდება წინასწარ.

4. სპეციალური შეთანხმება:

4.1.1. სალოტბარო სკოლის ფუნქციონირების ფარგლებში, სკოლაში დასაქმებულთა შერჩევა, შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, პირობების შეცვლა ან შეწყვეტა ხდება ამ მემორანდუმის მონაწილე მხარეთა (ს.ს.ი.პ. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და ა(ა)იპ ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლის) ურთიერთშეთანხმებით. ამ მემორანდუმის 5.1. პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების თაობაზე მხარე (სკოლა) იღებს ვალდებულებას აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით (ცენტრს).

4.1.2. მხარეები თანხმდებიან, რომ, სალოტბარო სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობად განისაზღვროს ცენტრის მიერ შემოქმედებითი საქმიანობის კონტროლი. კერძოდ: სასწავლო პროგრამის განხორციელებას და

კონტროლს უზრუნველყოფს ცენტრი. შესაბამისად დასაქმებულებულები ვალდებული იქნებიან გაითვალისწინონ ცენტრის მოთხოვნები და მითითებები შემოქმედებით საკითხებთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით შეასრულონ და იმოქმედონ ცენტრის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

4.1.3. დაუშვებელია მემორანდუმის რომელიმე პუნქტის შეცვლა, უარყოფა ან გაუქმება მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე.

4.1.4. ნებისმიერ დროს მემორანდუმის რომელიმე პუნქტის ძალადაკარგულად მიჩნევა გავლენას არ მოახდენს მემორანდუმის როგორც მთლიანი დოკუმენტის იურიდიულ ძალაზე ან კანონიერებაზე.

4.1.4. სალოტბარო სკოლაში მოსწავლეები მიიღებიან სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ დადგენილი ასაკობრივი, შემოქმედებითი თუ სხვა დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

4.1.5. სალოტბარო სკოლაში ყველა მიმართულებაზე სწავლა უფასოა.

5.მემორანდუმის მოქმედების ვადა:

5.1. მემორანდუმი ძალაში შედის 2024 წლის 03 იანვრიდან მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2 წლის ვადით, 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6.მემორანდუმის შეწყვეტის საფუძვლები:

1. მხარეთა შეთანხმება;

7.2. რომელიმე მხარის მიერ მემორანდუმის პირობების უხეში დარღვევა;

7.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

8. დასკვნითი დებულებები:

8.1. მხარეები მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ 1 თვით ადრე წინასწარ, წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს.

8.2. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

9. მხარეთა რეკვიზიტები:

ა(ა)იპ მელიტონ ბალანჩივაძის

ხელოვნების სკოლა

ს/კ 445405179

მისამართი: ქ. ბათუმი ბაქოს ქN48

დირექტორი ---------- ნინა ოგანეზოვა

სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

მისამართი: ქ. ბათუმი ზურაბ გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას 19/32

ს/კ 245628496

დირექტორი ---------- თეიმურაზ კეჟერაძე

ს.ს.ი.პ ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის

სახელმწიფო ცენტრი

მისამართი: ქ.თბილისი დ.აღმაშენებლის გამზირი N68

ს/კ 203851313

დირექტორი ---------- გიორგი დონაძე